2019/2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის (ესპანეთი) მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა სააპლიკაციო დოკუმენტაციის განხილვა/შეფასების ეტაპის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. სააპლიკაციო დოკუმენტაციის განხილვა/შეფასების ეტაპის მიზანი

სააპლიკაციო დოკუმენტაციის განხილვა/შეფასების ეტაპის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის დოკუმენტაციის შეფასება პარტნიორი სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად 2019/2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის.

2. კომისიის შეფასება

კომისია ახორციელებს დოკუმენტაციის შეფასებას სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ქვემოთ მოცემული შეფასების კრიტერიუმების თანახმად:

სტუდენტი:

ა)აკადემიური მოსწრება - 0-4 ქულა
ბ)ენობრივი კომპეტენცია - 0-3 ქულა
გ)მოტივაციის წერილი - 0-3 ქულა

აკადემიური პერსონალი:

ა)აკადემიური გამოცდილება/CV - 0-10 ქულა
ბ) სამუშაო გეგმა- 0-10 ქულა
ბ)მოტიცაციის წერილი - 0-10 ქულა

3. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატებს არჩევს პარტნიორი სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი თსუ შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.